საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №10
2024 წლის 12 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებით (სსმ, №33, 14/03/2006, 020.090.000.22.034.008.228) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაარქივებული სახით შენახვის 10-წლიანი მინიმალური ვადის გასვლის შემდეგ მონაცემთა სუბიექტი/მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია სამინისტროს მიმართოს აღნიშნული მონაცემის დეპერსონალიზაციის მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში მონაცემები დაარქივებული სახით ინახება 20 წლის ვადით.“;

ბ) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა სუბიექტის/მისი წარმომადგენლის მოთხოვნას სამინისტრო განიხილავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება პირის პიროვნული მახასიათებლები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, ქმედების ჩადენის ხერხი, სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის რისკი და სხვა გარემოებები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**